ხელშეკრულება № 137

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 7 ივნისი 2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეების დასახელება და რეკვიზიტები

"გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" 2015 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტისა და ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის №37 დადგენილების თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელეფონი: 226-13-37, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204862078) წარმოდგენილი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **თეიმურაზ ფერაძის** სახით და მეორე მხრივ (შემდგომში მიმწოდებელი/შემსრულებელი) **შპს „აუტოტესტ გეორგია"** (მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №128, ტელეფონი: 2531009; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE51TB7683836080100003, სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, სკ-405041119) წარმოდგენილი დირექტორის **ვაჟა იორდანიშვილის** სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5 ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

2.6 ,,შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების საგანი ,,საქონელი", ,,მომსახურება" ან ,,სამშენებლო სამუშაო".

3. ხელშეკრულების საგანი

ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები (CPV კოდი - 71600000) კერძოდ, მომსახურებები ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების სფეროში (CPV კოდი - 71630000) (იხ. დანართი №1, შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა).

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება **260 (ორას სამოცი)** ლარით.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მომსახურების შესრულების ვადები

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №128.

6. მიღება ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
6.3. შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი - **ზაქარია წითლაური.**
6.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ პირობებს.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ის გადამხდელობის შემთხვევაში) 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
9.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ტესტირების ადგილას (ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №128) ავტოტრანსპორტო საშუალებების საკუთარი ხარჯით მიყვანა არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია დანართი №1-ით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 14.4 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.
10.3 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის **0.02%**-ის ოდენობით.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **2 (ორი) პროცენტს,** შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
10.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
10.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
14.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, როგორც შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
14.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ზესიკ კოპალიანი** და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - **ირაკლი დვალი**, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად.
14.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) დღისა, აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
14.5. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
15.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თეიმურაზ ფერაძე
(შემსყიდველი, სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE24NB0330100200165022
საინდეტიფიკაციო კოდი: 2044862078

მიმწოდებელი: შპს „აუტოტესტ გეორგია"
დირექტორი ვაჟა იორდანიშვილი
(მიმწოდებელი, სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა _____

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: "თიბისი ბანკი",
კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE51TB7683836080100003
საიდენტიფიკაციო კოდი: 405041119

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)	მიწოდების ვადა და ადგილი
1	მომსახურებები ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების სფეროში (CPV კოდი - 71630000)	Mercedes Benz 318 ტიპის მიკროავტობუსის (სახელმწიფო ნომრით SSM-680) ტექნიკური დათვალიერება გზისთვის ვარგისობის დადგენის მიზნით	1	100,00	100,00	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და ინსპექტირების შედეგების შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის ვადაა არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №128.
		Mercedes Benz 208 CDI ტიპის მიკროავტობუსის (სახელმწიფო ნომრით ALX-181) ტექნიკური დათვალიერება გზისთვის ვარგისობის დადგენის მიზნით	1	100,00	100,00	
		Ford Transit ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების (სახელმწიფო ნომრით BVB-018) ტექნიკური დათვალიერება გზისთვის ვარგისობის დადგენის მიზნით	1	60,00	60,00	
სულ თანხა: **260 (ორას სამოცი) ლარი** დღგ-ის ჩათვლით.						

შემსყიდველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
თეიმურაზ ფერაძე
(შემსყიდველი, სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა ----------
ბ.ა.

მიმწოდებელი: შპს „აუტოტესტ გეორგია“
დირექტორი **ვაჟა იორდანიშვილი**
(მიმწოდებელი, სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა ----------
ბ.ა.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. თბილისი 7 ივნისი 2018 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომსახურებების ტექნიკური შემოწმებისა და ტესტირების სფეროში (CPV კოდი - 71630000) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (მიმწოდებელი - შპს „აუტოტესტ გეორგია") ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი:
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი - **თეიმურაზ ფერაძე**

მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი:
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი - **ზაქარია წითლაური**

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ზესიკ კოპალიანი**

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი:
*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - **ირაკლი დვალი***